## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულება N 15

ქ. ხონი 25.04. 2015წ.

ერთის მხრივ სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა კაკაბაძის სახით და მეორეს მხრივ შპს,,რაპაკა" ( შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის ფორმით სახელმწიფო შესყიდვაზე.

### 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულემაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

### 2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის სამეურნეო საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი შესყიდვის ობიექტი და მისი სავარაუდო ღირებულება:

2.2.1. დანაყოფის კოდი 30100000————155 ლარი

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 155 ლარს.

3.2 ხელშეკრუელბის ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. მომსახურეობის თანხა გადაიხდება ორ ეტაპად.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ– ფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი ). შემსყიდველისათვის წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

### 5. მიღება–ჩაბარებს წესი

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

### 6 მხარეთა უფლება – მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

### 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი წესით.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4 ხელშეკერულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი მხარის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს , იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მაგრამ არანაკლებ მომდევნო კალენარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

...ლშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 ...ემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა<br>საიდენტიფიკაციო კოდი:244959808<br>ტელეფონი: 577673608<br>სს "ლიბერთი ბანკის" ხონის ფილიალი<br>კოდი:LBRTGE22<br>ა/ა GE50LB0121137372631000 | შპს ,,რაპაკა"<br>ს/კ 412704505<br>პროკრედიტ ბანკი<br>ბანკის კოდი MIBGGE22<br>ა–ნ GE54PC0013600100045900 |

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი: [signature]

მომწოდებელი: [signature]

RAPAKA
შპს რაპაკა
412704505